ქ.თბილისი
მარჯანიშვილის ქუჩა №5-შიგანლაგებული ნაგებობის
(შიდა ეზოს)
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
("საქწიგნი")



დამკვეთი:
ს/ს "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი"

შემსრულებელი:
არქიტექტორი - ალა პროზოროვა

თბილისი
2016. 08







ქ.თბილისი

მარჯანიშვილის ქუჩა №5-ში განლაგებული ნაგებობის (შიდა ეზოს) ისტორიულ-არქიტექტურული ხვლევა

დამკვეთი:
ს/ს "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი"

შემსრულებელი:
არქიტექტორი - ალა პროზოროვა

თბილისი
2016. 08

ქ.თბილისი
მარჯანიშვილის ქუჩა №5-შიგანლაგებული ნაგებობის (შიდა ეზოს) ისტორიულ-არქიტექტურული ჯვლევა



საკვლევი ობექტი - კოტე მარჯანშვილის ქუჩა №5 (საჯარო რეესტრის ზონა №01, სექტორი №16, კვარტალი №05, ნაკვეთი №12) წარმოადგენს სააქციო საზოგადოების "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი"-ს არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც აშენებულია 1939 წელს (არქიტექტორები ნ.ბარათაშვილი, ნ.მიქაელიანი), მდებარეობს «ძველი თბილისის » ადმინისტრაციულ რაიონში, ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში.

ფოტო 1951 წ.



განაშენიანება, რომელშიც იმყოფება ჩვენი საკვლევი ობიექტი, მდებარეობს შედარებით დიდი ოთხკუთხედ კვარტალში, რომელსაც გრძივი მხრიდან ესაზღვრება დიმიტრი უზნაძის და უშანგი ჩხეიძის ქუჩები , ხოლო

განივი მხრიდან - კოტე მარჯანიშვილის და დოდო აბაშიძის ქუჩები . უშანგი ჩხეიძის ქუჩა აქ მთარდება და უერთდება მტკვრის მარცხენა სანაპიროს. მარჯანიშვილის ქუჩა კი იწყება სწორედ ჩვენი საკვლევი ობიექტიდან.



თბილისის რუკა
1801 წ.

საკვლევი
ობიექტის
ტერიტორია



თბილისის რუკა
1867 წ.

თბილისის ისტორიულ რუკებზე მკაფიოდ იკითხება საკვლევი ნაკვეთის ფორმირების ტენდენცია. ეს ტერიტორია XVIII საუკუნეში დაფარული იყო ბუჩქნარით. მიხაილოვის პროსპექტის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი) პარალელურად გადიოდა ძველი ავჭალის გზა , ქალაქ თბილისის 1800 წლის რუკაზე გამზირის დასაწყისში, აღნიშნულია სოფელი კუკია. 1818 წელს კუკიის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ დასახლდა ვიურტენბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების ნაწილი. ტერიტორიაზე გაჩნდა ბაღები და ბოსტნები. აქ ძირითადად დაკავებულები იყვნენ ხელოსნობითა და სოფლის მეურნეობით. 1824წ. კუკია ოფიციალურად მიეწერა ქალაქს. 1853 წლიდან აქ ვრცელდება ქალაქის განაშენიანების წესები, ხოლო 1862 წელს შედის ქალაქის საზღვრებში.



თბილისის რუკა
1902 წ.

საკვლევი ობიექტის
ტერიტორია
"ტიფლისის წრე"-
საზაფხულო კლუბი



თბილისის რუკა
1924 წ.

XIXს.-ის 80-იან წლებში მშენებლობის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას შემდეგ, რაც მოხდა მტკვრის ნაპირების დაკავშირება ვერის (მოგვიანებით – სტალინის, შემდგომ – ელბაქიძის, დღევანდელი – გალაქტიონის) და ვორონცოვის (მოგვიანებით – კარლ მარქსის, დღევანდელი – ზაარბრიუკენის) ხიდების საშუალებით. იმდროინდელი საცხოვრებელი შენობები 1-2 სართულიანია. 1883 წელს ვერის ხიდის აშენებასთან ერთად გამოჩნდა კირიჩნის (მოგვიანებით – ჟორესის, დღევანდელი - კოტე მარჯანიშვილის) ქუჩის ღერძი . ჩნდება ახალი ქალაქგეგმარებითი განივი კავშირი (კირიჩნის ქუჩა – ვერის ხიდი – ვერის დაღმართი), რომელიც აერთიანებს ქალაქის ორ მთავარ ღერძს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს - გოლოვინის (დღეისთვის - შოთა რუსთაველის) და მიხაილოვის (მოგვიანებით – პლეხანოვის, დღეისთვის – დავით აღმაშენებლის) გამზირებს. ახალი ხიდის მშენებლობამ ხელი შეუწყო ორივე სანაპიროზე მიმდებარე ტერიტორიების ათვისებას. ამ პერიოდში ჩვენი საკვლევი ტერიტორიაზე ჩნდება "ტიფლისის წრე" ("Тифлисскийкружок") - თავისი შენობა-ნაგებობებით და ბაღით.



საკვლევი ობიექტის ტერიტორია
("ტიფლისის წრე")

უფრო მოგვიანებით - 1880-ანი წლების ბოლოდან 1920-ანი წლების დასაწყისამდე, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გაჩენასთან ერთად შენობების სართულიანობა გაიზარდა 2-3 სართულამდე.

1933 წელს ძალაში შევიდა ქ.თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა ქალაქის განვითარების პერსპექტივიდან – როგორც დიდი ინდუსტრიული, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. იმავე 1933 წელს

დაიწყო მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. ეს მშენებლობა გრძელდებოდა 1980-იან წლებამდე. მტკვრის გასწვრივ საყრდენი კედლები გრძელდებოდა ორივე ნაპირზე ზევით და ქვევით. 1939 წელს ჩნდება ჩვენი საკვლევი ობიექტის პირველი ნაგებობა - "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის" შენობა, რომელიც ფასადები, რომელიც მაშინდელი მოდური არქიტექტურული ტენდენციებიდან გამომდინარე შესრულებულია "კონსტრუქტივიზმის" სტილში (ამჟამად განთავსებულია საკვლევი ობიექტის ეზოში).

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან 50-იანი წლების ჩათვლით აქტიური მშენებლობის პერიოდში, ჩვენს საკვლევ რაიონში, ისევე როგორც მთელს ქალაქში და მთელ საქართველოში, ჩნდება ეგრეთწოდებული «სოციალისტური რეალიზმის» სტილის დამახასიათებელი გრანდიოზული და პომპეზური შენობები.

სწორედ ამ პერიოდში (1940-იან წლებში) იქნა აშენებული "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის" მეორე(კუთხის) შენობა ადრეული პერიოდის, 1930-იანი წლების შუახანიდან 1940-იან წლების დასაწყისამდე, "სოცრეალიზმის" არქიტექტურული სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, როცა პროექტის ავტორები არქიტექტურულ ფორმებში და პროპორციებში ხშირად იყენებდნენ კლასიკურ ბერძნულ და რომაულ არქიტექტურულ დეტალებს (უფრო მოგვიანებით, 1940-იანი წლების დასაწყისიდან 1950-იანი წლების შუახნებამდე, არქიტექტურული დეტალების თემატიკა მუშავდებოდა ქართული საკულტო არქიტექტურის საფუძველზე).

გამომდინარე იქიდან, რომ კომბინატის ძირითადი შენობები არ იყო აშენებული ერთი და იგივე პერიოდში, შენობამ მიიღო ტიპიური "სოცრეალისტური" პომპეზური საპარადო ფასადები და მკაცრი კონსტრუქტივისტული ფასადები შიდა ეზოს მხარეს.







იტოგში საკვლევი ობიექტი შედგება რამდენიმე შენობისა და ნაგებობისაგან, რომლებიც გამოდიან კვარტლის სამ მხარეს (კოტე მარჯანიშვილის, დიმიტრი უზნაძის და უშანგი ჩხეიძის ქუჩებზე). "წიგნების სახლი"-ს შენობები იმყოფება მჭიდრო კვარტალურ განაშენიანებაშოი და ქუჩების წითელ ხაზებზე ეკვრიან სხვა შენობებს - კოტე მარჯანიშვილის ქუჩა №7/ დიმიტრი უზნაძეს ქუჩა №20, TBC ბანკის სათაო ოფისი (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010206009, აშენებულია 1913 წელში როგორც "ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოება") და უშანგი ჩხეიძეს №33, საცხოვრებული სახლი (აშენებულია 1958 წელში) . შენობაში განლაგებული იყო საგამომცემლო სამსახურები და სტამბის საწარმო. მხოლოდ 1990-იანი წლების შუახნებში სათავსოების ნაწილი გაცემული იქნა იჯარით სხვა ფუნქციონალური დატვირთვით.

ამჟამად "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის" მთავარი 4-სართულიანი შენობა გეგმარებით რთული კონფიგურაციისაა და შედგება ძირითადი მოცულობისაგან (რომელსაც გააჩნია მომრგვალებული ფასადი მარჯანიშვილის და ჩხეიძის ქუჩების გადაკვეთაში), და გეგმარებით "Г"-ტიპის დიდი ფლიგელისაგან (კომბინატის ადრენდელი კორპუსი). კომბინატის მეორე შენობა გამოდის უზნაძის ქუჩაზე და უერთდება მთავარ შენობას მისი ფლიგელის საშვალებით. საკვლევ ობიექტის ტერიტორიაზე განლაგებულია კიდევ სხვა დამხმარე შენობები და ნაგებობები (ავტოფარეხები, საწყობები და სხვა).

საკვლევი ობიექტის ყველა ეს ნაგებობა ქმნის სამ შიდა ეზოს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამ ეზოებიდან ერთს არ გააჩნია ქუჩაზე უშუალო გამოსასვლელი, მეორე გამოდის უზნაძის ქუჩაზე, ხოლო მესამე გამოდის საპარადო ჭიშკრის საშუალებით მარჯანიშვილის ქუჩაზე (სწორედ ეს ეზო წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს). აღნიშნული №3 ეზო ყველაზე პატარაა ფართით. გეგმარებით წაგრძელებული სწორკუთხაა. ეზოს შუაში არის ერთსართულიანი ნახევრადცილინდრული ფორმის მოცულობა, ბრტყელი გადახურვით, რომლიდანაც არის ჩასასვლელი ფლიგელის სარდაფში. ამ ეზოს მოკლე გვერდებზე განლაგებულია 4-კუთხა გასასვლის ღიობები: ერთი მთავარი შენობის გავლით უკავშირდება მარჯანიშვილის ქუჩას, მეორე - ფლიგელის გავლით შიდა ეზოს. გასასვლელი ღიობების ზემო სართულებზე, ეზოს განივ კედლებზე, მოწყობილია სწორკუთხა ფანჯრები, ხოლო ფლიგელის კედელზე ერთიანი სამი სართულის სიმაღლეზე კიბის უჯრედის ვიტრაჟი. ეზოს ერთი განივი კედელი, რომელიც ეკუთვნის TBC-ბანკის შენობას, აშენებულია წითელი ტუფის ქვით, სწორკუთხა ფანჯრების რიგით სამივე სართულზე. სახურავზე ქანობით საკვლევი ეზოსაკენ დაყენებულია ბანკის შენობის საინჟინრო უზრუნველყოფის დანადგარები. შიდა ეზოს მეორე განივ კედელს გააჩნია

მცირე "ჯიბე", იმ ადგილას, სადაც მთავარი შენობა უერთდება ფლიგელს კიბის უჯრედის მეშვეობით. ეზოს ამ შეღრმავებაში მოწყობილია პატარა დამხმარე ერთსართულიანი შენობა ბრტყელი გადახურვით. გეგმარებით უფრო განიერი ფლიგელი მომრგვალებულ ფასადის მხრიდან უერთდება ძირითად შენობას შედარებით ვიწრო კიბის უჯრედის მოცულობით. მთელ განივ კედელზე, მათ შორის მომრგვალებულ ნაწილზეც, ყველა სართულზე მოწყობილია განიერი, მაღალი ფანჯრები. შეღრმავებულ ნაწილს კი გააჩნია ვიწრო ორმაგი ფანჯრები.







უკანასკნელი წლის განმავლობაში სააქციო საზოგადოება "ბეჭვდითი სიტყვის კომბინატი"-ს მესაკუთრეების მიერ ჩატარებული იქნა საპარადო ფასადების და მთავარი შენობის ინტერიერის სარესტავრაციო სამუშაოები. "წინის სახლის" შენობაში კომფორტის უზრუნველსაყოფად აღჭურვილი იქნა თანამედროვე ახალი საინჟინრო მოწყობილობებით.

მანსარდის სართულის მოწყობა-პროექტირებისათვის ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. იმისათვის, რომ არ დაირღვეს არსებული ერთიანი სტილისტური გადაწყვეტილება, შიდა ეზოს სივრცისა, რომელიც "კონსტრუქტივიზმის" არქიტექტურილი სტილის მინიმალისტურ პრინციპებს ეთანხმება (ხაზგასმული სადა კედლები, დაკიდული ელემენტების და არქიტექტურული დეკორის სრული უქონლობა) მანსარდის პროექტირებისას შევეცადოთ დავიცვათ არსებული სადა სტილი, სასურველია არ შეიცვალოს სახურავის კეხი, ასევე შესაძლებელია მანსარდა მოეწყოს ვიტრაჟის სახით.

არქიტექტორი - ალა პროზოროვა

20*16. 08*

ბიბლიოგრაფია და გამოყენებული საარქივო მასალა:

- ვახტანგ ბერიძე, "თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები" "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.
- თენგიზ კვირკველია, "თბილისის არქიტექტურა", "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.
- ნ.კვეზერელი-კოკაძე, "თბილისის ხიდები", "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1961წ.
- ნოდარ ჯანბერიძე, ირაკლი ციციშვილი, "**Архитектура Грузии – от истоков до наших дней**", *«Стройиздат»,* მოსკოვი, 1976წ.
- "თბილისი", ენციცლოპედია, «ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია», თბილისი, 2002წ.
- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი
- ცენტრალური თბილისის არქივი